ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის
საკრებულოს წევრი

ა ნ ა გ ო გ ო ლ ა ძ ე

2022 წლის საქმიანობის ანგარიში

ინიციატივა შშმ პირებისათვის უფასო და შეღავათიანი მგზავრობის შესახებ

- 19 აპრილს დავარეგისტრირე **ინიციატივა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მუნიციპალურ ტრანსპორტში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ;**

- ამავე დღეს ჩავატარე **ბრიფინგი,** შევხვდი მედიის წარმომადგენლებს, გავუზიარე შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე არსებული ჯგუფების არარელევანტური სია, განვიხილეთ საკითხის საჭიროება.

მოსკოვის გამზირისათვის სახელის გადარქმევის ინიციატივა

- 22 თებერვალს, თბილისის საკრებულოში წარვადგინე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ **ინიციატივა,** რომლის მიხედვითაც **"მოსკოვის გამზირს" უნდა გადაერქვას სახელი და ეწოდოს უკრაინის დედაქალაქის, "კიევის გამზირი";**

- 14 მარტს შევადგინე ონლაინ პეტიცია აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად - პეტიციამ მოაგროვა **5500 მოქალაქის ხელმოწერა.**



მოქალაქეთა მომართვიანობა და ქუჩების მოწესრიგება

- 20 ივნისს მომმართა დიდუბის რაიონში მცხოვრმა მოქალაქემ, შემატყობინა ქუჩებში არსებული **ანტისანიტარული პირობების** შესახებ და მთხოვა პასუხისმგებელ პირებთან შუამდგომლობა;

- 22 ივნისს პრობლემასთან დაკავშირებით **შევხვდი დიდუბის რაიონის გამგებელს;**

- 23 ივნისს **მოირეცხა ქუჩები; დაიდგა ახალი, გაზრდილი რაოდენობის ნაგვის ურნები; თბილსერვის ჯგუფი შეგვპირდა, რომ კვირაში ერთხელ ტერიტორია მოირეცხება.**

ბრიფინგი საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

- 11 აპრილს ჩავატარე **ბრიფინგი ვაჟა-ფშაველას გამზირზე წაქცეულ ავტობუსის გაჩერებასთან** დაკავშირებით - წამოვაყენე **მოთხოვნა თბილისის მერიის** მიმართ, **დაუყოვნებლივ დაეწყოთ თბილისის მასშტაბით დამონტაჟებული ავტობუსების მოსაცდელების შემოწმება;**

- აღნიშნულ საკითხთზე მოკვლევა გავაგრძელე ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან ოფიციალური კორესპონდენციის სახით;

მეტრო სადგურ „გოცირიძის“ რეაბილიტაციის საკითხი

- 26 აგვისტოს მოვინახულე **გოცირიძის მეტრო სადგური,** სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები **ორ წელზე მედია მიმდინარეობს;**

- გავმართე ბრიფინგი და მედიის წარმომადეგენლებს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს გავუზიარე საქმის დეტალები;

- მოვუწოდე თბილისის მერიას **სამუშაოების უმოკლეს პერიოდში დამთავრება.**

ბრიფინგი პარკირების გაზრდილ ჯარიმებთან დაკავშირებით

- 8 სექტემბერს გავმართე ბრიფინგი პარკირების გაზრდილ ჯარიმებთან დაკავშირებით;

- თბილისში არსებულ მოთხოვნას არ პასუხობს სატრანსპორტო პოლიტიკა;

- თბილისის მერიას მოვუწოდე **გაზრდილი ჯარიმების ამოქმედების თარიღის გადავადება, საპარკინგე სივრცეების დამატება და სამშენებლო რეგულაციებში ცვლილების შეტანა.**

თეთრი ხელჯოხის დღე და უსინათლო და მცირემხედველ პირთა საკითები

- 13 ოქტომბერს **თეთრი ხელჯოხის კვირეულის** ფარგლებში გავმართე ბრიფინგი უსინათლო პირებთან ერთად;

- მოვითხოვე **ავტობუსებში გახმოვანების სისტემის ამუშავება და ინფრასტრუქტურის ადაპტირება,** რაც ძალიან მნიშვნელოვანია უსინათლო და მცირემხედველი პირების გადაადგილებისთვის.

ჭავჭავაძის გამზირზე დაზიანებული ხმოვანი შუქნიშნები

- თბილისის უსინათლო მაცხოვრებლის მომართვის საფუძველზე, მასთან ერთად მოვინახულე ჭავჭავაძის გამზირზე განლაგებგული **ხმოვანი შუქნიშნები, რომლებიც დაზიანებულია და არ ასრულებს თავის ფუნქციას;**

- ასევე, მოვინიშნეთ საკვანძო ლოკაციები, რომლებიც საჭიროებს დამატებით ადაპტირებას: **ტაქტილურს ბილიკებს, დამატებით ხმოვან შუქნიშნებს, აღქმად ფიგურებს სამოძრაო ზოლებს შორის** და ა.შ.

- ოფიციალური წერილით მივმართე **თბილისის მერიას და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს,** გავუგზავნე დასურათებული დოკუმენტაცია;



სამუშაო შეხვედრა ექსპერტთან საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

- 31 მაისს თბილისის საკრებულოში სამუშაო ფორმატში შევხვდით „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარეს, **დავით მესხიშვილს;**

განვიხილეთ:

- **ბავშვთა და მოზარდთა საგზაო უსაფრთხოება;**
- **თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა;**
- **საგანმანათლებლო სივრცეების უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების საკითხები.**

1-ელი ივნისი - ბავშვთა დაცვის დღე

- 1 ივნისს, ბავშთა დაცვის დღეს, სიღარიბის ზღვარს მყოფი ბავშვები მოვინახულეთ და მათ მეურვეებს შუამდგომლობა გავუწიეთ უსაფრთხო საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად.

კონრად ადენაუერის ფონდის პოლიტიკური განათლების აკადემია

- 8 ივლისს კონრად ადენაუერის ფონდის პოლიტიკური განათლების აკადემიის სტუდენტებთან **ურბანული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარესთან, რევაზ სოხაძესთან** ერთად, ჩავატარე შეხვედრა სტუდენტებთან.

- განვიხილეთ **მუნიციპალური საკითხები, ბიუჯეტის ფორმირება, პოლიტიკური მონაწილეობა, საბიუჯეტო ხარჯვა და** ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები.

ახალგაზრდა ქალთა პოლიტიკური აკადემია

- 5-9 დეკემბერს **დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის** (ODIHR) მიერ ორგანიზებული აკადემია, რომლის ფარგლებშიც განვიხილეთ **პოლიტიკაში ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობის, გადაწყვეტილების მიღების, გენდერული თანასწორობის** საკითხები.

რეგიონალური ფორუმი ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე

24 მაისს UNDP Georgia ორგანიზებით გაიმართა რეგიონალური ფორუმი

- ფორუმი მხარდაჭერილი იყო **ნორვეგიისა და შვედეთის ელჩების მიერ;**

- შეხვედრაზე განვიხილეთ ქართულ **პოლიტიკურ სივრცეში ქალების მონაწილეობის ძირითად გამოწვევები და პერსპექტივები,** როგორც პარტიული და პროფესიული ჭრილიდან.

- სხდომაზე მიწვეული ვიყავი როგორც **საკრებულოს წევრი,** ვისაუბრე **ქალთა გაძლიერების და პოლიტიკაში ჩართულობის** გზებზე.

მხარდაჭერა უკრაინას და უკრაინელ მოქალაქეებს

- ომის პირველივე დღიდან უდიდეს **მხარდაჭერას ვუცხადებ უკრაინას და უკრაინელ მოქალაქეებს;**

- მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ვშუამდგომლობდი უკრაინელი ლტოლვილების განთავსების საკითხებს;

- 17 ივლისს შევხვდი უკრაინელ ლტოლვილებს და მთავრობას მოვუწოდე გამონახოს სარეზერვო ფონდში თანხა, რათა მათ **გაუხანგრძლივდეთ საცხოვრებლის დაფინანსება.**